დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: როლანდ შავაძე

წევრები:

ნინო უგრეხელიძე - -ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

თეა ნინუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მეგი ტალახაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მაია ქუთათელაძე - უცხოური ენების ექსპერტი

დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნოვრივი ექსპერტი

თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნოვრივი ექსპერტი

ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მაკა ინაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229728756

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება
იურიდიული მისამართი	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება
ფაქტობრივი მისამართი	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება
საფოსტო ინდექსი	1901

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Vanamaghleba@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577958454

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 23 0001015473 21/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	11-12 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის განმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 11-12 სექტემბერს, სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფის წევრებიდან დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელეს ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა და საბუნებისმეტყველო საგნის ექსპერტემა. ჯგუფის დანარჩენი წევრების ჩართულობა თიმსის პლატფორმის გამოყენებით ოლაინ განხორციელდა.

ვიზიტის დროს ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუები შეთანხმებული განრიგის შესაბამისად გამართეს. ვიზიტის პირველ დღეს, შეხვედრები პიველი სამი სტანდარტის საკითხების განხილვას ეხებოდა, ხოლო მეორე დღეს გამართული შეხვედრების უმრავლესობა ეხებოდა სკოლის ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის საკითხებს. ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქრუტა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ უზრუნველყო სათანადო სამუშაო პირობების შექმნა ექსპერტებისათვის.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის განმანათლებლო პროგრამა;
2) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის განმანათლებლო პროგრამა;
3) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის განმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
3.4.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ ვადებში სკოლამ განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: 1) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან სრული შესაბამისობა (დასრულების თარიღი:15 სექტემბერი, 2024). 2) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვა (დასრულების თარიღი:15 სექტემბერი, 2024). .
3.5.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლამ უზრუნველყოს სპორტული დარბაზი, შესაბამისი ინვენტარით. (დასრულების თარიღი:15 სექტემბერი, 2024). .
3.6.3.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სკოლამ ვებ გვერდზე განათავსოს 3.6.3. კრიტერიუმით განსაზღვრული სრული ინფორმაცია. (დასრულების თარიღი: 25 ოქტომბერი, 2023).

	(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.	მე და საზოგადოების მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში პირველ, მეორე და მესამე სავალდებულო თემაში არ ჩანს გრძელვადიანი მიზნებიდან- სამიზნე ცნებებიდან-ცვლილება; მესამე თაობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და სტანდარტით გათვალისიწნებული პრინციპებზე დაყრდნობით მნიშნელოვანია სამიზნე ცნება: „ცვლილებაც“ აისახოს მე და საზოგადოების მესამე კლასის სავალდებულო თემებში და მკაფიოდ გამოჩნდეს, თუ რა საშუალებებით მიიღწევა აღნიშნული გრძელვადიანი მიზანი. მნივშნელოვანია იგივე ტიპის რჩევის გათვალისწინება მე-4 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმში სავალდებულო თემებში (სამიზნე ცნება: „პიროვნება“). რაც შეეხება საგანს ჩვენი საქართველო- მეხუთე კლასის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი სავალდებულო თემა: სამეგრელო, გარდა ამისა კურიკულუმში წარმოდგენილ სავალდებულო თემებში არ მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება- გრძელვადიანი მიზნები მაგ: პირველ სავალდებულო

		თემაში- დრო, საზოგადოება მრავალფეროვნება, სახელმწიფო.
2.1.1. 2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	კურიკულუმებთან ერთად წარმოდგენილი იყოს კომპლექსური დავალების ბარათები, რომელიც დეტალურად წარმოაჩენს დავალების პირობას და შემდგომში მისი განხორციელების გზებს.
2.2.2.5.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით ჰქონდეს ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები", სადაც აღწერილი იქნება შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა, ჯგუფის წევრების ფუნქციები, ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და ვერიფიკაციის დასკვნის მომზადების წესები.
2.1.1. 1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	საგანი გეორაფიაში მე-7 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემა: აფრიკაში სამიზნე ცნებებად წარმოდგენილია: გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფის მრავალფეროვნება, ჰიდროსფერო, მოსახლოება, რაც არ არის გრძელვადიანი მიზნები, შესაძლო გარკვეულ ქვეცნებებად მოიაზრებს მასწავლებელი, მაგრამ მკაფიოდ ჩანდეს, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება ხდება თემაში და შერჩეული საკითხიდან გამომდინარე რომელი ქვეცნებები დამუშავდება. ასევე აღნიშნულ თემაში გრძელვადიანი მიზნები- გეოგრაფიული გარსი მოსხლოება და მეურნეობა არ არის წარმოდგენლი. სავალდებულო თემა ანტარქტიდაში არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნება- „ მდგრადი განვითარება". მერვე, მეცხრე კლასის გეოგრაფიის კურკულუმებშიც ყველა სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება არ არის წარმოდგენილი. საზოგადოებრვი კათედრის მიერ მნიშნელოვანია გეოგრაფიის საგნობრივ

		კურიკულუმებში, კლასების მიხედვით სტანდარტით განსაზღვრული აუცილებელი მოთხოვნების გათვალისიწინება, რათა საგნის კლასის, თემის ფარგლებში მასწავლებელმა უზრუნველყოს გრძელვადიანი მიზნების დამუშავება.
2.1.1. 1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	მე-10 კლასში გეოგრაფიის პირველ სავალდებულო თემაში არ ჩანს, რით და როგორ მუშავდება სამიზნე ცნება- გეოგრაფიული გარსი. სავალდებულო თემაში დამუშავდეს სტანდარტით გათვალისიწინებული ყველა სამიზნე ცნება კურიკულუმში მკაფიოდ ჩანდეს თითოეული გრძელვდიანი მიზანის დამუშავების გზა. ასევე კათედრის მიერ შემუშავდეს მე-11 კლასის კურკულუმები: გეოგრაფიაში, მოქალაქოება/სამოქალაქო განათლებასა და ისტორიასა/საქართველოს ისტორიაში.
2.2.2.1.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	ფიზიკაში საჭიროა შეიქმნას სამიზნე ცნებებსა და საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობილი რუბრიკები.
N2.1.2.2		მუსიკის საბაზო საფეხურის მეშვიდე კლასის კურიკულუმის მეორე თემაში ,,ძველი და ახალი მუსიკაში'' გაწერილი საკითხების ფარგლებში მიეთითოს შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ასევე IX კლასში მუსიკის კურიკულუმში პირველი თემის ,,მითი და რეალობა მუსიკაში'' ფარგლებში ამ ეტაპზე დარჩეს ორი კომპლექსური დავალება,შესაბამისად ორი საკითხი, რადგან მეცხრე კლასში მუსიკაში პირველ სემესტრში საათების რაოდენობა არის კვირაში 2 საათი. ასევე სახვითი ხელოვნების საბაზო საფეხურის მეშვიდე კლასის კურიკულუმი ჩასწორდეს ისე, რომ თემატურ ბლოკში ,,საზოგადოება და ხელოვნება'' დამუშავდეს

		სტანდარტით გათვალისწინებული ოთხივე სამიზნე ცნება.
2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით სკოლამ შეიმუშოს კურიკულუმის მეთოდოლოგიის შესაბამისი მონიტორინგის და შეფასების სქემა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

Aavtorizaciis eqspertTa jgufma gaiziara skolis argumentirebuli pozicia.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებით დასტურდება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმულირებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან დირექციის წამომადგენელი, მასწავლებელი, საშუალო საფეხურის მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების თვალსაჩინო სივრცეში და სკოლის ვებ გვედზე.

1.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სასკოლო საზოგადოებისთვის წარმოადგენს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. კლასის საათების პროგრამებში დამრიგებლებს გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის საჭირო საგანმანათლებლო აქტივობები. არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლა ახორციელებს პროექტებს. დაწესებულებაში არსებობს კლუბი - მოაზროვნე. კლუბის წევრების მიერ განხორციელებული უახლესი პროექტების თემებია: ,,ნაადრევი ქორწინება“ და ,,არა ბულინგს“. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას დაგეგმილი აქვს სასკოლო პროექტი: ,, ჯანმრთელი გარემო ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია“.

1.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე მომუშავე ჯგუფი, რომლის წევრები არიან სკოლის დირექციის წარმომადგენელი, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და ასევე თემის წარმომადგენლები. აღნიშნული ჯგუფის ჩართულობით სკოლამ შეიმუშავა სპეციალური კითხვარი და განახორციელა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების და პრიორიტეტების გამოვლენის საფუძველზე სკოლამ ჩამოაყალიბა სკოლის ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები.

1.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ინტერვიუებისას სასკოლო საზოგადოებამ განმარტა პორცესები, რომელებიც სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმულირებისას გაიარა: სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველადი ვერსია მომუშავე ჯგუფმა გაუზიარა სასკოლო საზოგადოებას და თემს. ასევე, აღნიშნული დოკუმენტი განთავსდა სოციალურ ქსელში უკუკავშირის მიღების მიზნით. შეიქმნა ფოკუს-ჯგუფები მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და თემის წარმომადგენლების გამოკითხვის მიზნით. მშობელთა მოსაზრების მიღებისთვის, კლასის ხელმძღვანელებმა მშობელთა კრებებზე გააკეთეს პრეზენტაციები.

1.1.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულელები გამოკრულია სკოლის შენობის თვალსაჩინო სივრცეში და სკოლის ვებ გვედზე.

1.1.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს - „სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლა“.

1.1.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის დირექტორის ბრძანება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №136/ნ;

- სკოლის სოციალური ქსელი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. დაწესებულებაში შექმნილია ჯგუფი, რომლის წევრები ჩართულნი იყვნენ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესებში. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: დირექციის წამომადგენელი, მასწავლებელი, საშუალო საფეხურის მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და თემის წარმომადგენელი.

   1.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული შვიდწლიანი (2023-2030) სამოქმედო გეგმა, რომელიც სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაშია.

   1.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს ერთი წლის განმავლობაში შესასრულებელი ამოცანების ჩამონათვალს. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმიდან. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია საგნობრივი კათედრების ჩართულობით. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით გამოკვეთილია ფორმალური და არაფორმალური განათლების პრიორიტეტები. გეგმაში ასევე გაწერილია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის კონკრეტული განსახორციელებელი აქტივობები.

   1.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებულია ერთი წლის განმავლობაში სკოლის მიერ შესასრულებელი ამოცანები. გათვალისწინებულია ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა შესრულება გეგმით გასაზღვრულ ვადებშია შესაძლებელი. ასევე გეგმაში მითითებულია განსახორციელებელი აქტივობებისთვის საჭირო რესურსები და პასუხისმგებელი პირები.

   1.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც ასევე მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში განსაზღვრულია მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები და შეფასების მექანიზმები. გაწერილია მონიტორინგის პერიოდები და მექანიზმები. ასევე შემუშავებულია მონიტორინგის შედეგების რეფლექსიის წესი, რომელიც პრობლემის იდენთიფიცირებას, მის ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების დაგეგმვას გულისხმობს.

   1.2.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილია განხორციელებული აქტივოებების მონიტორინგის პერიოდი და პროცედურები. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების

მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით მონიტორინგის დროს საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი იქნება გათვალისწინებული.

1.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას გააზრებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მიხედვით მიღწეული შედეგების სასკოლო საზოგადებისთვის გაცნობის მნიშვნელობა. დაწესებულების ადმინისტრაციის განმატებით, დაინტერესებული მხარის ინფორმირებისთვის შედეგები განთავსდება სკოლის შენობაშიი თვალსაჩინო სივრცეში, სოციალურ გვერდზე და ასევე სკოლის ვებ გვერდზე.

1.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. როგორც სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს განიმარტა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის ანალიზი იქნება ყოველი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განმსაზღვრელი. მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები: გეგმის მოდიფიცირება, ჩანაწერის დაზუსტება, ვადების ცვლილებაა, კარგად შესრულებული სამუშაოებისთვის წახალისება და ა.შ.

1.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლა მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინარული კომიტეტი. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო და ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელთა ფუნქციებიც განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით. დასაქმებულ პირებსა და სკოლას შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი მხარის ფუნქცია-მოვალეობები და უფლებები.

   3.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. როგორც სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირებს შორის პასუხისმგებლობები გადანაწილებულია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქცია-მოვალეობები.

3.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- თვითმართველობის ოქმი;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- კათედრის ოქმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ბრძანება ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულ პირთა ეფექტურ მართვას, რომელიც პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლაში არსებობს პერსონალის დანიშვნის ბრძანებები, პირადი საქმეები და გაფორმებული ხელშეკრულებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება გამოცხადებული კონკურსების ჩატარების კანონმდებლობით დადგენილ წესებთან შესაბამისობა. დაწესებულებაში როგორც ძირითად შტატში მომუშავე, ასევე ხელშეკრულებით მოწვეული პირების დასაქმება ხდება კონკურსის წესით.

3.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში შემუშავებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა. დოკუმენტში გაწერილია იმ მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობა, რომელთა მიღწევაც სკოლას სურს საკადრო პოლიტიკის მიმართულებით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლის ამოცანაა თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობის ისე წარმართვა, რომ ორიენტირებული იყოს სკოლის მიერ დასახული მიზნების მიღწევებზე. ასევე, შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის ფუნქციაა მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარებაში მხარდაჭერა. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, პროფესიული წინსვლისთვის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი სავალდებულო ტრენინგებში, როგორიცაა: „გენდერი სკოლებში“, „ბულინგი სკოლებში“, „მდგრადი განვითარება და გარემოსდაცვითი განათლება სკოლაში“. დაწყებითი და სამოქალაქო განათლების პედაგოგები ჩართულნი არიან USID სამოქალაქო განათლების ეგიდით დაგეგმილ საგანმანათლებლო პროგრამებში.

3.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკოლის პერსონალის შერჩევის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. დაწესებულებაში ვაკანტური თანამდებობის არსებობის შემთხვევაში სკოლა აცხადებს შიდა და ღია კონკურსებს. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო

კომისიის შემადგენლობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ინფორმაცია შიდა კონკურსის შესახებ ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისათვის. ხოლო ღია კონკურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროვდება შესაბამის ვებგვერდზე. ექსპერტების მიერ მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისას დასტურედება შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ცნობების არსებობა (ნასამართლოების შესახებ; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; უფლების ჩამორთმევის შესახებ).

3.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. მასწავლებელთა მიღება რეგულირდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას საკვალიფიკაციო მოთხოვნეთან შეუსაბამობა არ იკვეთება.

3.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.დაწესებულებაში მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლების ჩართულობას, გუნდურობას, პასუხისმგებლობების გადანაწილებას, უფლებათა დელეგირებას. როგორც ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში აქტუალურია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ჩატარებული გაკვეთილის შემდეგ მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ახდენენ ჩატარებული გაკვეთილის ანალიზს. ერთმანეთს უზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას და აძლევენ სათანადო რეკომენდაციებს. აგრეთვე, ვიზიტის დროს შესამჩნევი იყო სკოლის პერსონალის და ადმინისტრაციის თანამშრომლობის მაღალი კულტურა.

3.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც ხდება წარმატებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაციის გამოქვეყნება. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის სკოლის შიანაგანაწესში გასაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები. სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მიღწევების დამადასტურებელი სიგელები და მოპოვებული ჯილდოები განთავსებულია სკოლის შენობის თვალსაჩინო სივრცეში.

3.1.2.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ;
- ვაკანსიაზე გამოცხადებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სკოლის შიანაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობაში შედის მასწავლებლების შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენა. ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შეფასებას, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქმიანობასთან მიმართებით. ასევე, მასწავლებელთან ერთად ჯგუფი განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს.

3.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ადგენს პერსონალის განვითარების საჭიროებებს. მასწავლებლებტან კონსულტაციებით, მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზეც ჯგუფი შეიმუშავებს გასატარებელი ღონისძიებების გეგმას. როგორც ინტერვიუებისას გამოიკვეთა, სკოლის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ხელშეწყობა ხორციელდება, როგორც სკოლის დონეზე, ასევე მასწავლებლის სახლის მიერ დაგეგმილ ტრენინგებზე და სხვა ავტორიზებული ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებზე დასწრებით.

3.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელსუწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას და იზიარებს მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. ადმინისტრაცია დროულად აცნობს სიახლეებს და ეხმარება რესურსების მოძიებაში. როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, თანამშრომლებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა ტრენინგების, ვებინარების, რეგიონალურ თუ ეროვნულ კონფერენციების შესახებ. სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა თანამშრომლობს საქართველოს

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონულ ორგანიზაციასთან. რომელიც მასწავლებლებს სთავაზობს სხვადასხვა სახის ტრენინგ-მოდულებს.

3.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. ვიზიტის დროს გამოვლენილი გუნდურობის მაღალი კულტურით დასტურდება თანამშრომლების ინტეგრაცია სასკოლო გარემოსთან. ინტერვიუებისას სკოლის დირექტორის განმარტებით, ახალი თანამშრომლის მიღებისას ხდება მისი კოლეგებისათვის წარდგენა. შესაბამისი კათედრის დახმარებით ახალი პედაგოგი ეცნობა სასწავლო პროცესის სპეციფიკას, მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებს, შესაბამისი საგნის სასკოლო კურიკულუმებს. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლი წარუდგენს თითეულ კლასს.

3.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა მხარს უჭერს სასკოლო საზოგადოების ინიციატივებს. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლას დაგეგმილი აქვს საუკეთესო საუკეთესო მასწავლებელის, საუკეთესო პროექტის ავტორის, საუკეთესო დამრიგებელის გამოვლენა და წახალისება. ინტერვიუებისას აღინიშნა, 2022-2023 სასწავლო წელს სკოლამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისა და საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ვწერ თავისუფალ თემას“. მასში მიღწეული წარმატებისათვის სკოლის მასწავლებელი წახალისებულ იქნა ფულადი პრემიით.

3.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება ხარისხის მართვის განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სერტიფიკატები;
- ბრძანება წახალისების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით შესწავლითა და ვიზიტის დროს სკოლის პერონალით ინტერვიუებით დასტურდება, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის

უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობით ხორციელდება საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ერთლიანი სამოქმედო და სასწავლო გეგმები. გეგმის მიხედვით ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

3.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები წარმოჩენილია სასწავლო და სამოქმედო გეგმებში. სკოლამ წარმოდგინა კათედრის სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებს კათედრის წევრების სასკოლო ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას. საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია თითოეული კლასისათვის კურიკულუმები. სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, და მრჩეველთა საბჭო (ბრძანება N2-16), რომელთა ფუნქციებში შედის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის ხელშეწყობა.

3.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შინაგანაწესში მოცემულია სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების ეთიკური გადაცდომების ფორმები. გაწერილია სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები და შესაბამისი სახდელები. სკოლაში არსებობს საჩივრების განხილვის სტრუქტურული ერთეული - დისციპლინური კომიტეტი.

3.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი გაწერილია სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ შინაგანაწესში. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, /მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძანება N2-92). სკოლის პერსონალი ფლობს საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციას. სკოლის პერსონალის ხელშეკრულებებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობების შესახებ შესაბამისი მუხლის არსებობა დასტურდება.

3.3.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1;
- ბრძანება N2-92;
- ბრძანება N2-16;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მართვის შესახებ ინფორმაციის განთავსებისათვის სკოლას აქვს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში და საინფორმაციო დაფა. დაწესებულებაში არსებობს სამეურვეო საბჭო. როგორც წარმომადგენლობითი ორგანო, სამეურვეო საბჭო ფლობს მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ასევე კლასის დამრიგებლების მიერ ხდება მშობლების ინფორმირება კრებებსა და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით.

3.3.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილრბულია.

2. სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, რომელიც შედგება თანაბარი რაოდენობის მასწავლებლებისა და მშობლებისაგან. სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი. წარმოდგენილი დოკუმენტებში დასტურდება კოლეგიალური ორგანოს აქტიური მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში.

3.3.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილრბულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალურ ქსელის გვერდი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფს სკოლის პერიმეტრისა და სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს სასკოლო საზოგადოებას. ასევე, სკოლაში არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების მედიკამენტით. სკოლაში არ არსებობს მანდატურის სამსახური. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი გამოკრულია თვალსაჩინო სივრცეში. სკოლას გააჩნია ხანძრის ქრობის საშუალებები. შენობის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლას შემუშავებული აქვს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

2017 წელს, შ.პ.ს "სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია"-ს მიერ განხორციელებულია სკოლის სტრუქტურული მდგომარეობის შემოწმება. დასკვნაში გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. სკოლის შენობის კაპიტალური რესტავრაცია განხორციელებულია 2019 წელს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის" მიერ. თუმცა რესტავრაცია ჩაუტარდა მხოლოდ სასწავლო კორპუსს, ხოლო ეზოში ცალკე მდგომი სპორტული დარბაზი არ არის რესტავრირებული.

ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, შემდეგი გარემოებები: 1) სკოლას არ გააჩნია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი. 2) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არ არს აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით.

შესაბამისობის გეგმაში სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსააფრთხოებისა და ვიდეოსათვალთვალო სისტემის უზრუნვლეყოფის ვადები.

3.4.1.1. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მორიგე მასწავლებლები. ისინი იცავენ შიდა პერიმეტრზე სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების წესებს. სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილება შესაძლებელია სპეციალური საშვების მეშვეობით.

3.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. სკოლა პასუხისმგებლობით უდგება მოსწავლეთა ემოციურ მდგომარეობას. ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დირექცია და სკოლის პერსონალი. საჭიროების შემთხვევაში სკოლა თანამშრომლობს სოციალურ სამსახურთან. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში.

3.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს დამლაგებლები. სკოლის შენობის ფიზიკური დათვალიერების დროს დასტურდება სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. საპირფარეშოები უზრუნველყოფილია ხელის ჰიგიენის საშუალებებით (წყალი, თხევადი საპონი და ერთჯერადი ხელსახოცები).

3.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას კანონმდებლობითი დადგენილი წესით. სკოლის დირექტორის ბრძანებით (2-82) განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი. პასუხისმგებელი პირის განცხადებით, სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე მოსწავლეთა ფოტოების/ვიდეოების განთავსება ხდება მშობლებისგან ნებართვის საფუძველზე.

3.4.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა, თანამშრომელთა პირადი ინფორმაცია. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. პირადი საქმეების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე მოსწავლეთა ფოტოების/ვიდეოების განთავსება ხდება მშობლებისგან ნებართვის საფუძველზე.

3.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლაში პერიოდულად მიმდინარეობს უსაფრთხოების ნორმების დაცვის შეფასება, დაკვირვება, ფორმალური და არაფორმალური რეგუალრული შემოწმების გზით.

3.4.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- ბრძანება ექიმის დანიშვნის შესახებ;
- მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი;
- ბრძანება პირადი მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშნვის შესახებ;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- შ.პ.ს "სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია" - იმერეთის რეგიონის, ვანის მუნიციპალიტეტის, სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს. საკლასო ოთახები კეთიმოწყობილია (ასაკის შესაფერისი ინვენტარით). სკოლას აქვს კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნებისთვის საჭირო აღჭურვილობით ლაბორატორიები, გარე სპორტული მოედანი და ბიბლიოთეკა. სკოლას არ აქვს საჭირო სპორტული ინვენტარით აღჭურვილი შიდა დარბაზი.

შესაბამისობის გეგმაში სკოლამ წარმოადგინა სპორტული დარბაზის უზრუნველყოფის ვადები.

3.5.1.1. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას სასწავლო პროცესისთვის აქვს ერთი ძირითადი კორპუსი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი კეთილმოწყობილია და შეიცავს სწავლა-სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკურ რესურს.

3.5.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შენობა კეთილმოწყობილია. საერთო სარგებლობის სივრცეები ადაპტირებულია. სკოლაში გადაადგილების სივრცეები მოწყობილია მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით. სკოლის პირველი სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, საჭირო დამხმარე რესურსებით.

3.5.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების შესაძლებლობას. სკოლაას 2019 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია, შესაბამისად აღჭურვილია ახალი ინვენტარით და სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სასწავლო მრავალფეროვანი რესურსებით, კომპიუტერული ტექნიკით. დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურული მოწყობა საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

3.5.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას აქვს ყველა მოსწავლისათვის განკუთვნილი გრიფმინიჭებული სახელძღვანელოები. ასევე, სხვადასხვა სახის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია დამატებითი ლიტერატურა. კომპიუტერულ ლაბოლატორიაში განლაგებულია საჭირო რაოდენობის პროგრამულად გამართული კომპიუტერი.

3.5.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ახალი ლეპტოპებით. საკლასო ოთახებში, ასევე სკოლის სხვა საერთო სარგებლობის სივრცეებში ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (WiFi). გარდა

კომპიუტერული ლაბორატორიისა, სკოლის ადმინისტრაციისთვის და პერსონალისთვის გათვალისწინებულია პერსონალური კომპიუტერები.

3.6.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლის შიდა სივრცე მთლიანად დაფარულია უსადენო ინტერნეტით (WI-FI). სკოლის კომპიუტერების ლაბორატორიაში არსებული პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი, პრინტერი ხელმისაწვდომია როგორც სკოლის პერსონალისათვის, ასევე მოსწავლეებისთვის.

3.6.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სილქნეტის ხელშეკრულება;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. სკოლას შექმნილი აქვს საქმისწარმოების წესი (ბრძანება N2/73). საქმისწარმოების წესის მიზანია დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება. პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას და აღრიცხვას. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის.

3.6.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება გამართული თანამდეროვე ტექნოლოგიები: eflow სისტემა, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool, სკოლის ელექტრონული ფოსტა vanamaghleba@mes.gov.ge

3.6.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს გამართული, სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool), სადაც ასახულია ზუსტი ინფორმაცია პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ, საგნების განაწილება, გაკვეთილების ცხრილი, სკოლის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოები.

3.6.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას დროულად აწვდის და თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ ყველა უწყებასთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი ანგარიშს წარადგენს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში დირექტორი ანგარიშს უგზავნის პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტს. ასევე, განსაზღვრულ ვადებში შესყიდვების გეგმას არეგისტრირებს spa.ge-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე.

3.6.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;

- საშტატო განრიგი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- eflow;
- eschool.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინფორმირებას ახორციელებს სკოლის სოციალური ქსელის, ფეისბუქ-გვერდის მეშვეობით. როგორც განიმარტა, სოციალური ქსელის გვერდი ადმინისტრატორი, გონივრულ ვადებში ანახლებს გადამოწმებულ ინფორმაციებს. ინფორმაცია საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს წვდომა. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომელიც მშობლებისთვის შვილის/მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებაა. სკოლა ახორციელებს საზოაგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ოფიციალურ ვებ გვერდზე (skolebi.emis.ge) საკუთარი გვერდის მეშვეობით.

3.6.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების მიერ გასაჯაროებული ინფორმაციის გადამოწმებით დასტურდება, რომ გასაჯაროებული ინფორმაცია საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარია.

3.6.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის დროს, სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებისას როცორც განიმარტა, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება სკოლისთვის პრიორიტეტულია. სკოლის დირექტორის განცხადებით, სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

3.6.3.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მოქმედი ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

3.6.3.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ვებ გვერდი <u>შეიცავს</u> შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ გვერდი <u>არ შეიცავს</u> შემდეგ ინფორმაციას: პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები.

შესაბამისობის გეგმაში სკოლამ წარმოადგინა ვებ გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის კონკრეტული ვადა.

3.6.3.5. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი;
- სკოლის ვებ გვერდი;
- დირექტორის ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლას აქვს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული ბიუჯეტი. სკოლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ბიუჯეტში მითითებული სკოლის ფინანსური რესურსი იძლევა სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაძლებლობას. დირექტორის ბრძანებით ყოველი წლის 20 ნოემბრამდე მტკიცდება სკოლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, ხოლო კალენდარული წლის ბოლომდე სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს.

3.7.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ბიუჯეტის დამტკიცება ხდება წინა წლის ფინანსური დანახარჯების მიზნობრიობის და გეგმის შესრულების ანალიზის საფუძველზე. ბიუჯეტის კორექტირება ხდება სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ყოველ წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს. სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების გეგმა, რომელიც შედგენილია გასულ წლებში განხორციელებული შესყიდვების გათვალისწინებით.

3.7.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი - ბიუჯეტის დამტკიცება;
- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი - დირექტორის ფინანსური ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა უფლებებს და ვალდებულებებს არეგულირებს შინაგანაწესი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მისი ერთ-ერთი მიზანია მოსწავლის უფლებების დაცვა საყოველთაოდ მიღებული სტანდარტებით. შინაგანაწესი მორგებულია სკოლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-92) დამტკიცებულია *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის* დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტში მოცემულია ყველა ის ვალდებულებები, რომლის შესრულებითაც სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. სკოლას გაფორმებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებები. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, ყოველი წლის დასაწყისში ხდება შინაგანაწესის იმ მუხლების გაცნობა, რომელებშიც საუბარია მათი უფლებების დაცვასა და გარანტიის უზრუნველყოფაზე.

4.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. როგორც ინტერვიუებისას განიმარტა, სასწავლო წლის დასაწყისში, კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს და მათ მშობლებს შინაგანაწესს. შინაგანაწესი ასევე გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო სივცეში, მისი გაცნობის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები. ადმინისტრაციის განმარტებით, თითო ეგზემპლარი მიეწოდება მშობელს/კანონიერ

წარმომადგენელს. ხელშეკრულების შინაარსის გაცნობა ხდება დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ ინდივიდუალური შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე.

4.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში გაწერილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები. გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები და ფსიქო-ფიზიკური უსაფრთხოება.

4.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანწესი ;
- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის;
- დირექტორის ბრძანება (N2-92).

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეები ირიცხებიან კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. სკოლას შემუშავებული აქვს *მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი.* დაწესებულებაში ვიზიტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის და მობილობის პროცედურებისა და ვადების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

4.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს და აწარმოებს მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/მობილობის/სტატუსის შეჩერების საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. სკოლას აქვს ექსტერნატის ფორმითა და წლიური გამოცდების ჩატარების გამოცდილება. სასწავლო წლის დასაწყისში ამ საკითხების შესახებ ხდება მოსწავლეების ინფორმირება.

4.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. ინტერვიურებისას სკოლის პერსონალის განცხადებით, სკოლაში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო ტიპის შეხვედრები. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მშობელლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის შენაგანაწესს.

4.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი. სკოლის Facebook გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების, სიახლეების, პროგრამების შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. როგორც

განიმარტა, სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე იმართება საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, სკოლის პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.

4.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დირექტორის ბრძანება;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი;
- ბრძანება ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარების შესახებ;
- ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. ინტერვიუს პროცესში როგორც გამოიკვეთა, სკოლას კომუნიკაცია აქვს საბავშვო ბაღთან, მომიჯნავე სოფლებში მდებარე საბაზო საფეხურის სკოლებთან. საბავშვო ბაღის საზეიმო ღონისძიებებში ხშირად არის მიწვეული პირველი კლასის მასწავლებელი და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი. დირექტორის ბრძანებით (N2-96) დამტკიცებულია მოსწავლის გარემოსთან ადაფტაციის მექანიზმი.

4.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-96) დამტკიცებულია მოსწავლის გარემოსთან ადაფტაციის მექანიზმი. ახალ მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართვას ასევე უზრუნველყოფს კლასის დამრიგებლები. ის ეცნობა ახალ მოსწავლეს და აცნობს თანაკლასელებს, ათვალიერებინებს სკოლის ინფრასტრუქტურას და უხსნის როგორ გამოიყენოს გარემო ოპტიმალურად. ინტერვიუებისა როგორც განიმარტა, სპეციალური კითხვარის დახმარებით დამრიგებელი იცნობს ახალი მოსწავლის ინტერესებს და საჭიროების.

4.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები (ბრძანება N2-97). მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სკოლა სთავაზობს უფასო დამატებით მეცადინეობებს. მეცადინეობების დასრულების შემდეგ მასწავლებელების მიერ ხდება შედეგების განხილვა-ანალიზი. ელექტრონული ჟურნალის დახმარებთ სკოლა ახორციელებს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას, კონფიდენციალურობის დაცვით.

4.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მშობელთა კრებაზე დამრიგებელი აცნობს მშობლებს, თუ რა უფლებებით სარგებლობს ბავშვი. სასწავლო პროგრამების, სერვისების, რესურსების შესახებ ინფორმაციის სკოლის მიერ გავრცელება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად (გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული). სკოლა მოსწავლეებს ხელს უწყობს ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზებაში.

4.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. ამ მიზნით, მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო კლუბებში, საგანმანათლებლო პროექტებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუებით დასტურდება სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული სხვადასხვა პროექტები და სპორტული ღონისძიებები.

4.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის ადმინისტრაიის განმარტებით, სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს და სურვილებს სასწავლო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ეს გამოიხატება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენელი და მშობლები / კანონიერი წარმომადგენლები. სკოლა იყენებს ზეპირი და წერილობითი გამოკითხვის ფორმებს მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების დასადგენად და სასწავლო პროცესების შესაბამისად დაგეგმისთვის.

4.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ბრძანება N2-97;
- კლუბის სამოქმედო გეგმა;
- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის;
- სასწავლო გეგმა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს ეხმარება პროფესიული ორიენტაციის განვითარებაში, სხვადასხვა პროექტებისა და აქტივობების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის დროს, სკოლის ადმინისტრაციის წევრებმა და კლასის დამრიგებლებმა ინტერვიუებში ისაუბრეს სკოლის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა სახის აქტივოებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლეთა პროფორიენტაციას (სკოლაში ორგანიზდება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან; კლასის საათების ფარგლებში კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეებთან ესაუბრებიან კარიერული დაგეგმვის შესახებ და ა.შ.).

4.2.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სადამრიგებლო საათისა და სხვა შეხვედრების ფარგლებში. მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გამართულ ღია კარის დღეებში. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან.

4.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებსას როგორც გამოიკვეთა, სკოლა ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს/გაცემულ უკუკავშირს. აწარმოებს კურსდამთავრებულებთა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების სტატისტიკას. მონაცემების კი სკოლა ითვალისწინებს სამომავლო საქმინობის დაგეგმვაში.

4.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- . მემორანდუმი;
- სადამრიგებლო პროგრამები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ისგ ჯგუფის მიერ (რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებელი, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი) სსსმ მოსწავლეებისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებს. ერთ-ერთ სსსმ მოსწავლეს დაენიშნა ასისტენტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის უსაფრთხო გადაადგილებას, სასკოლო დროის განმავლობაში. აღნიშნულ მოსწავლეს ემსახურება ტრანსპორტი. წლის ბიუჯეტში ინკლუზიური განათლებისათვის, სხვადასხვა სასწავლო რესურსის შესაძენად შესაბამისი თანხებია გათვალისწინებული.

4.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებაში ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი. რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებელი, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის სწავლა/სწავლების პროცესისათვის სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლის საჭიროებებისათვის აუცილებელი სასწავლო რესურსით. სკოლაში არსებობული ინფრასტრუქტურა სწავლისათვის ინკლუზიურ გარემოს შესაფერისია. საპირფარეშო კეთილმოწყობილი და ადაპტირებულია.

4.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორცილების სამოქმედო გეგმა;
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
- მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ სსსმ მოსწავლეების შეფასება და დასკვნები;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არ სთავაზობს *სასწავლო გეგმით* გათვალისწინებულ დამატებით არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებას. სკოლაში არსებობს ტრანსპორტირების სერვისი. მძღოლის აქვს შესაბამისი კატეგორიის მართვისა და სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ინსპექტირების მოწმობა.

4.2.4.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას არ აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა.

4.2.4.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას არ აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა.

4.2.4.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მძღოლის შესაბამისი კატეგორიის მართვისა და სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ინსპექტირების მოწმობა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება - წყებითი საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

2.1.1. 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; კურიკულუმის განვითარების ეტაპებსა და პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, მათ შესაძლებლობებს. კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ერთმანეთის მოსაზრებებს, მშობელთა სურვილებსა და ადმინისტრაციის ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები ინაწილებენ კლასებს, ირჩევენ მოსწავლეებზე მორგებულ თემებს და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილავენ მათ. საბოლოო ვერსიას ადმინისტრაციას, მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით შეაქვთ ცვლილებები საბოლოო ვარიანტში.
წარმოდგენილი დოკუმენტების, აგრეთვე ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები. ხორციელდება გამოკითხვები (მოსწავლეთა, მშობელთა) და მონაცემების დამუშავება, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები

ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.1.1. 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლაში კურიკულუმების შემუშავება ხდება კეთედრის წევრების სრული ჩართულობით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სკოლის კონკრეტული საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს აგრეთვე ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს საფეხურების მიხედვით კურიკულუმებში

სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები ცნებების მიხედვით, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები და აქტივობები.
კათედრა ცდილობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა აქტივობების საფუძველზე, ამ აქტივობების რეფლექსიით, ერთობლივ შეხვედრებზე მოსწავლეთა მიღწევებისა და გამოწვევების განხილვა-ანალიზით, შეძლებისდაგვარად გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. პედაგოგები დაწყებითი საფეხურის კლასებში აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, წინარე ცოდნა-გამოცდილებას და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ახდენენ დავალებათა მოდიფიცირებას. სკოლაშიგანხორციელდა სასკოლო პროექტი: ,,ჯანმრთელი გარემო ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის მოსწავლემ. ასევე სასკოლო პროექტის ფარგლებში, გაიმართა ექიმთან შეხვედრა თემაზე: „ როგორ დავიცვათ ჯანმრთელი ცხოვრების წესი? “ მასში მონაწილეობდნენ სასკოლო საზოგადოების წევრები.
სკოლის სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიაში ჩანს, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინება : გაწერილია სკოლის მართვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მონიტორინგი (თუმცა გაწერილია ზოგადად); სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება, საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა, საგნობრივი კათედრების სხდომების ჩატარება და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი საკითხების განხილვა.
ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეების ინიციატივები, მათი საჭიროებები განაპირობებს კომპლექსური დავალების მრავალფეროვნებას და რომ კურიკულუმზე მუშაობის ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას - იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. გარდა იმისა, იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში.
კათედრის თითოეული პედაგოგი ცდილობს ურთიერთთანამშრომლობის გზით ჩაერთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ისინი, როგორც აღნიშნავენ, უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. კათედრის წევრები მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებაზე. ისინი გააანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და ისე დაგეგმავენ სამომავლო მუშაობის პროცესს.
კურიკულუმის შემუშავება მოხდა საგნობრივ კათედრებზე, რასაც ადასტურებს პედსაბჭოსა და კათედრების სხდომების ოქმები, დოკუმენტაცია განხილულ იქნა საგნობრივ კათედრებზე. კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია

სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობელთა მოსაზრებები.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

შემუშავებული კურიკულუმის გაცნობა ხდება მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე ხორციელდება განხილვები და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილება და გადაიხედება კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები, ხდება მოდიფიცირება საჭიროებების მიხედვით: მოსწავლეთა ინტერესების მშობელელთა ინიციატივების, მასწავლებელთა შემოთავაზებების გათვალისწინებით.
პედაგოგთა თქმით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კათედრები აანალიზებს, როგორც საკუთარ პედაგოგიკურ პრაქტიკასა და გამოცდილებას, ასევე იმ პრიორიტეტებს, რომელთა გათვალისწინებაც კურიკულუმის შემუშავებისას ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართვას ამ პროცესში. პედაგოგები და მშობლები ეცნობიან სხვადასხვა საგნის კურიკულუმების პირველად ვერსიებს, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს კომპლექსური დავალებების სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ.კურიკულუმის გაზიარება მოხდა პედაგოგიურ საბჭოზე, დაწყებითი კლასების კათედრების სხდომებზე, აგრეთვე სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში, რომელიც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმის გაზიარება

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ **სკოლის თვითშეფასების განაცხადი**
- ✓ **სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**
- ✓ **სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამარლების საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა**

- ✓ საგნობრივი კურიკულუმები
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების დამეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

დაწყებითი საფეხურის კათედრა მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები ეყრდნობა და შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო-მეთოდიკურ პრინციპებს. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლები პროცესის დაგემვაზე. სამიზნე ცნებების კომპონენტი სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხო ენის კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.

გასაუბრებისას წარმდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების გაცნობამ და ერთგვარმა საპრეზენტაციო განხილვამ წარმოაჩინა პედაგოგთა რეალური ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრისთვის ცხადია, რომ სასწავლო გეგმამ, საგნობრივმა კურიკულუმმა უნდა შეძლოს მოსწავლეთა საბაზისო ინტერესებისა და მისწრაფებების აქტუალიზაცია. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ, რას ნიშნავს საფეხურის შედეგებზე, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირება და მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზისას მიღებული შედეგებისა და მონაცემების საფუძველზე ცდილობენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხრციელებასა და რეალიზებას.

2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლებს აღქმული აქვთ ფუნქციურ კომპონენტური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. წარმოდგენილ კურიკულუმში ასახული შუალედური სასწავლო მიზნების მიმართება გრძელვადიანი მიზნებთან მკაფიოდ ჩანს და იძლევა იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად.

უნდა აღინიშნოს,რომ სკოლა აქვს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება, პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ G-PriED -ისა და USAID-ის მიერ მიწოდებულ რესურსებს. პედაგოგებს კურიკულუმი გაწერილი აქვთ თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით.

ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესი იგეგმება მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს, სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას ისე მოახდენენ პედაგოგები, რომ სსსმ მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები იქნეს გათვალისწინებული. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება.
კათედრა ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის თავისებურებებს, ინტერესებს და აკადემიურ შესაძლებლობებს და ამის შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროცესს. პედაგოგთა მოსაზრებით, აუცილებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება.

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

კათედრის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ თითოეულ საფეხურზე დაგეგმილია ისეთი პროცესი, სადაც სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე გამოიკვეთა მზაობა განმსაზღვრელი შეფასების ეფექტური წარმოების შესახებ. კერძოდ, უცხო ენის კათედრის წევრებს შეუძლიათ, რომ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ შეფასება და სწავლის პროცესი როგორც ერთი მთლიანი პროცესი და შეუძლიათ შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.
კათედრას გააზრებული აქვს შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. დაწყებითი კლასის მასწავლებლები ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, როგორიცაა: შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, ზეპირი კომენტარები და ა. შ. მასწავლებლები სამომავლოდ შეიმუშავებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების უფრო სრულყოფილ და გამართულ რუბრიკებს. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, შეფასების რუბრიკები როგორც ჩანს, უნივერსალურია I-IVკლასებში და შესაბამისობაში ესგ-ის მოთხოვნებთან. რაც შეეხება V - VI კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს,იკვეთება დამდეგი სასწავლო წლის კომპლექსური დავალებების სპეციფიკის გათვალისწინება.

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საბოლოოდ, იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდივიდუალური გეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით.
პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში აქტიურადაა დანერგილი პედაგოგთა ურთიერთდასწრების პრაქტიკა. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ დაკვირვების შედეგებსა და მიგნებებს. ურთიერთდასწრების შესაბამისი დოკუმენტაცია

წარმოდგენილი არ იყო. იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა-წელიწადში ორჯერ ჩაატარებენ საგიაგნოსტიკო შეფასებას კომპლექსური დავალებების გამოყენებით.

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი.
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო I,II,IV,V,VI კლასებისთვის.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- მშობელთა კრების ოქმები.
- საგნობრივი კურიკულუმი.
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- სკოლის 7 წლიანი განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლბელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.
დაწყებითი საფეხურის პედგოგები აქტიურად იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. გაკვეთილები ხალისიანი და საინტერესოა. სასწავლო რესურსებად იყენებენ ნახატებს, გასაფერადებლებს, პოსტერებს. იყენებენ USAID-ის მიერ მიწოდებულ რესურსებს. მოსწავლეები ახორციელებენ დაკვირვებას, უტარდებათ გაკვეთილები ღია სივრცეში.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. წარმოდგენილ კურიკულუმებში პროცესი მიმართულია ისე რომ ახალი ცოდნის აგება (კონსტრუირება) ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა. ამას მიუთითებს კომპლექსური დავალების აქტივობები, რომლებიც იგეგმება მხოლოდ წინარე ცოდნისა ან გამოცდილების გათვალისწინებით. მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიების საშუალებით და აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.

თვითშეფასების კითხვარში და გასაუბრებისას დასახელებული კომპლექსური დავალებების განხორციელებისას გამოყენებული აქტივობების ანალიზით გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე საკუთარი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრები იაზრებენ ამ საგანმანათლებლო პრინციპის უმნიშვნელოვანეს როლს. ისინი თვლიან, რომ მეტაკოგნიტური უნარის განვითარება აუცილებელია მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და მისი აკადემიური ცოდნის დონის ასამაღლებლად. მასწავლებლები შეეცდებიან დავალებების

აქტივობები მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი და კომფორტული გახდეს საკუთარი სწავლის პროცესის სოციო-ემოციურად მართვა.

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მასწავლებლები შემაჯამებელ სამუშაოებსა და კომპლექსურ დავალებებში იყენებენ როგორც დეკლარატიულ, ასევე პირობისეულ ცოდნას, თუმცა კომპლექსური დავალებების ბარათებში აქვთ როგორც სამიზნე ცნებებსა და ცოდნის სამივე კატეგორიაზე გამავალი, ასევე მეტაკოგნიტური უნარების შემამოწმებელი კითხვები.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები იყენებენ ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო I,II,IV,V,VI კლასებისთვის.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- მშობელთა კრების ოქმები.
  - საგნობრივი კურიკულუმი
  - თვითშეფასების კითხვარი
  - სკოლის ფეისბუქ გვერდის ბმული;
  - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

კათედრა, პედაგოგები, სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, განიხილავენ სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად.

დაწყებით საფეხურზე აქტიურად მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების განხორციელება. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მათ ბოლომდე აქვთ გათავისებული სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მოსწავლეები ხალისით მუშაობენ დავალებებზე.

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. გასაუბრების კი გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.

წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი და გასაანალიზებელი პრობლემები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, განსახორციელებელი აქტივობები, კონტექსტმაგალითები, შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს.

დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ძირითადად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასწავლო გარემო, პედაგოგების მიერ შეთავაზებული აქტივობები და დავალებები მიმართულია იქით, რომ მოსწავლე მაქსიმალურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების პედაგოგები კლასის დამრიგებლებთან ერთად ზრუნავენ მოსწავლეთა განვითარებაზე, უსაფრთხოებაზე, მიკუთვნების გრძნობის გამომუშავებაზე.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

წარმოდგენილი კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ

შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით.
სკოლაში დაწყებულია მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტების შესაბამისი შეფასების რუბრიკების შემუშავება, სანიმუშოდ თითოეულ პედაგოგს აქვს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებსა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გაწერილი კრიტერიუმები, რომლებიც გადის სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მასწავლებელთა წიგნებში მოცემულ შეფასების რუბრიკებსაც.

ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.2. 4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

პედაგოგთა თქმით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები შეძლებისდაგვარად გათვითცნობიერებულნი არიან შეფასების მიზნობრიობაში, რადგან იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის სამომავლოდ შემუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონისა და სწავლის პროცესის, სამიზნე ცნებების გაცნობიერებისა და გათავისების დინამიკის განსასაზღვრად.
დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების შეფასების სისტემა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები ვალიდურია. რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიის რუბრიკებს საჭიროებს დახვეწას. საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიის რუბრიკები მაქსიმალურად მოარგონ სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, რის უზრუნველსაყოფადაც კი კომპლექსური დავალებების ხშირი განხორციელებაა მიზანშეწონილი.

ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სასკოლო სასწავლო გეგმის და დაწყებითი კათედრის ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის მექანიზმები: დაწყებითი კათედრის მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, აპირებენ შეიმუშავონ რეფლექსიისა და თვითრეფლექსიის ფორმები, ახდენენ

ჩატარებული გაკვეთილების განხილვას, ახორციელებენ ვერბალურ უკუკავშირს. სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასება იგეგმება დამდეგი სასწავლო წლიდან. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმებიდან ჩანს, რომ სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. შერჩეულია დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი (კომპლექსური დავალება). დიაგნოსტირება იგეგმება წელიწადში ორჯერ. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი.

ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, სკოლის არქივი ინახავს ყველა მონაცემს. მასალები სკოლას აქვს დაარქივებული ჟურნალების სახით. ასევე დაარქივებულია ელ. ჟურნალების სახით. აქედან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო I,II,IV,V,VI კლასებისთვის.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საქმის წარმოების წესი
- ბრძანება დაწყებითი საფეხურის დაძლევის შესახებ
- შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას
1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

2.2.3. 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
სკოლაში შექმნილია მიმღებლობითი გარემო. კერძოდ, სასწავლო პროცესში მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების დანერგვით, დიფერენცირებული მიდგომით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილი პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე და თანამშრომლობაზე.
ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.3. 2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კერძოდ, მათ ისაუბრეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია.
დაწყებითი საფეხურის პედაგოგები სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებსა და თავისებურებებს. ინტერვიუს დროს მათ მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ უწყობენ ისინი ხელს მოსწავლეებს, რომ მაქსიმალურად გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები, ახალისებენ მათ ჩართულობასა და წარმატებებს.
ინდიკატორი 2.2.3.2. სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.3. 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. საგანში მასწავლებელი

კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. წარმოდგენილი სკოლის შინაგანაწესის მიხედვით და კათედრის წევრებთან გასაუბრების შემდგომ, გამოიკვეთა, რომ სკოლის საორგანიზაციო კულტურა ეფუძნება ეფექტურ თანამშროლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კერძოდ, თანამშრომლობის პროცესის ეფექტურობის ხელშემწყობ ფაქტორებად მათ დაასახელეს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მშობლების მიერ განხილული კომპლექსური დავალების ბარათები და მათი რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას პრიორიტეტად მიიჩნევენ ურთიერთანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი გამოწვევების შესახებ. ანალიზდება კონკრეტული აქტივობები.

ინდიკატორი 2.2.3.3. სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.3. 4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

როგორც კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული გარემოა. პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესახებ იგრძნობოდა გასაუბრების დროს, პედაგოგები სიტყვაში ერთმანეთის მიღწევებზე საუბრობენ და ცდილობდნენ ერთმანეთის მონაწილეობა სასწავლო პროცესში წარმოეჩინათ. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კომუნიკაციას თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის. მაღალია დაწყებითი საფეხურის მშობელთა ჩართულობა როგორც საკლასო, ასევე სასკოლო ცხოვრებაში. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები.

ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები,
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი,
- კურიკულუმი;

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შინაგანაწესი;
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა ასევე, რომ უცხოური ენების კათედრის წევრები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად.

ახალი სასწავლო წლისათვის ეტაპობრივად დაიგეგმება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შექმნა, სადაც აისახება, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიები, არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად, არამედ გარკვეული გრაფიკული სქემებით. შემუშავდება და დაიხვეწება შეფასების რუბრიკები. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ ჯერ არ აქვს მკაფიოდ გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების სქემა. სკოლა გეგმავს აწარმოოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. სასწავლო დაწესებულებას ასახული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში შიდა სასკოლო მონიტორინგის პრიციპები, რაც ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას;

თანამშრომელთა სამსახურეობრივი დისციპლინის განმტკიცებას; სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას; საგნობრივი კათედრების მუშაობის ეფექტურად წარმართვას.

ინდიკატორი 2.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სკოლის საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას. დაწყებითი საფეხურის კათედრების მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. რადგან ავტორიზაციის პროცესი ჯერ არ დამდგარა და მონიტორინგი და შეფასება არ განხორციელებულა.

მასწავლებლებთან პირისპირ საუბარში გაირკვა, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლის გუნდი გამოცდილების საფუძველზე გააუმჯობესებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეაფასებენ და დაადგენენ მოსწავლეთა იმ უნარებს, სადაც მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა და ამის გათვალისწინებით დაგეგმავენ სწავლის შემდგომ პროცესს.

კათედრა აცნობიერებს ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, ამიტომაც ცდილობს სამუშაო შეხვედრებზე გაანალიზოს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემატიკა. განიხილავს კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, მსჯელობს მოსწავლეთა ნამუშევრების პრობლემებურ მხარეებზე და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობს გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი. კათედრა გეგმავს განავითაროს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ურთიერთთანამშრომლობის, ამ კუთხით შეძენილი გამოცდილებისა და პედაგოგიკური პრაქტიკის გამოყენების გზით.

ინდიკატორი 2.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი სახით, თუმცა სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც იკვეთება საკვანძო საკითხები სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასთან მიმართებით. გარდა ამისა, უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის.

შემუშავებული კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება დაეფუძნება პრობლემის გადაჭრის საშუალებას. სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება.

ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ **სკოლის თვითშეფასების განაცხადი**
- ✓ **სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**
- ✓ **საგნობრივი კურიკულუმები**
- ✓ **სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა**

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

2.3.2. 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად და ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა რომ პედაგოგები იყენებენს განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე აკეთებენს უკუკავშირს, დაკვირვებას და მხარს უჭერენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებასის კულტურის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების, შეფასების ვალიდურობისთვის ინფორმაციის მოპოვებისას სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგ. სასკოლო საზოგადოების წევრებისგან, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მოწოდებულ მოსაზრებებსა და ინფორმაციას. ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ, სტატისტიკური ტიპის რესურსებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და მათი გამოსწორების ხელშესაწყობად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად. ასევე ხდება შეფასება განვლილი პროცესების, მათზე მსჯელობა კათედრის დონეზე და გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება.
შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმით, გათვალისწინებული შეფასების მრავალი კონტექსტი.

ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

პედაგოგები საკუთარი პედაგოგიკური გამოცდილების ანალიზისას და მოსწავლის შეფასებისას, მასზე დასაკვირვებლად ითვალისწინებენ განსხვავებულ კონტექსტებს. ეს შეიძლება იყოს საკლასო გარემო, აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, პიროვნული გამოცდილება და ინტერესები. სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების მეტი ინტენსივობით გამოყენების კულტურის დამკვიდრებას.
შეფასებისას სკოლა ნაკლებად იყენებსა მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს,თუმცა ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იცნობენ ჰოლისტურ შეფასებას და სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის შემდგომში დახვეწისათვის.

ინდიკატორი 2.3.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა აქტივობა არა მარტო სასკოლო სივრცეში დაკვირვებით, არამედ სკოლის მიღმაც, რათა სრული წარმოდგენა შეიქმნეს მათ პიროვნულ მახასიათებლებზე, მოქმედ გარეგან ფაქტორებზე. გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს. შეფასებისა სკოლა იყენებს საკლასო სამუშაოს, დისკუსიის, თვითშეფასების, საშინაო და ჯგუფური დავალებების შედეგების ანალიზს. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. სკოლისთვის გამოწვევაა გამოვლინდეს სხვადასხვა ჭრილში მოსწავლის ინტელექტი, მეტად ჩაუღრმავდეს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას და გათვალისწინებული იქნეს შეფასების პროცესში, ამიტომ, ცდილობენ გააუმჯობესონ ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, წელს მათ ექნებათ მკაფიოდ გაწერილი განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებიც, რადგან მეექვსე კლასში ხდება ორივე სახის შეფასება. პედაგოგები ახდენენ თვითრეფლექსიასაც.

ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ **სკოლის თვითშეფასების განაცხადი**
- ✓ **სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**
- ✓ **საგნობრივი კურიკულუმები**
- ✓ **ინტერვიუ მასწავლებლებთან**
- ✓ **შეფასების რუბრიკები**

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, რომ მოახდინონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია მათზე. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძალისხმევა მიმართონ დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. კერძოდ, ისინი იცნობენ კონკრეტულ საკვანძო საკითხებს, რაც განაპირობებს ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებას.ესენია მაგალითად, წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილება, ამ გამოცდილების გათვალისწინებით გასაზიარებელი გამოცდილება სასკოლო საზოგადოებაში, ახალი წლის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ასპექტები ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე და ა.შ.
კათედრის წევრები მზაობას გამოთქვმენ სასწავლო პროცესში მიღებული გამოცდილება ასახონ მომავალი წლის კურიკულუმში. ისინი შეეცდებიან მიღებული გამოცდილება გამოიყენონ მომავალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესისა და საგნობრივი კურიკულუმის დასახვეწად და გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, სკოლა აცნობიერებს და გეგმავს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში ნათლად გაწეროს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედება, რაც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე.

ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- ✓ **სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება - საბაზო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება
1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

2.1.1. 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, მათ შესაძლებლობებს. კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ერთმანეთის მოსაზრებებს, მშობელთა სურვილებსა და ადმინისტრაციის ინტერესებს. მშობელთა კრებებზე მიმდინარეობს ზეპირი განხილვები. კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები ინაწილებენ კლასებს, ირჩევენ მოსწავლეებზე მორგებულ თემებს და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილავენ მათ. საბოლოო ვერსიას ადმინისტრაციას, მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით შეაქვთ ცვლილებები საბოლოო ვარიანტში.

ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.1.1. 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი დონე და აკადემიური უნარები, ასევე სასკოლო პროექტებზე მუშაობა. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში და კომპლექსური დავალებებში. მასში განსაზღვრულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით. შესაბამისად, უცხო ენის კათედრა მუშაობს მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენაზე და შესაბამისად გეგმავს კურიკულუმს და მათში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს. სკოლას აქვს სასკოლო - სასწავლო გეგმა, სადამრიგებლო პროგრამები, რომელთა შინაარსი აგრეთვე გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის შინაარსობრივი საკითხების შერჩევისას და კურიკულუმში ისეთი კომპლექსური დავალებებია გაწერილი, რომელთა შესრულება სასკოლო სივრცეში შესაძლებელია.

ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეების ინიციატივები, მათი საჭიროებები განაპირობებს კომპლექსური დავალების მრავალფეროვნებას და რომ კურიკულუმზე მუშაობის ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას - იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. გარდა იმისა, იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში.

ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

შემუშავებული კურიკულუმის გაცნობა ხდება მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე ხორციელდება განხილვები და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილება და გადაიხედება კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები, ხდება მოდიფიცირება საჭიროებების მიხედვით: მოსწავლეთა ინტერესების მშობელელთა ინიციატივების, მასწავლებელთა შემოთავაზებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ **სკოლის თვითშეფასების განაცხადი**
- ✓ **სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**
- ✓ **კურიკულუმები**
- ✓ **ინტერვიუ მასწავლებლებთან**
- ✓ **სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა**

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლები პროცესის დაგემვაზე. სამიზნე ცნებების კომპონენტი სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხო ენის კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.

ინდიკატორი 2.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

სკოლის მიერ შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. შეტანილია თემები როგორც პრაქტიკული ,ასევე თეორიული მიმართულებით, რაც ითვალისწინებს: სამიზნე ცნებების, რომელიცაა: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესი და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებასა (6 უნარი) და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს, სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების

პროცესში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას ისე მოახდენენ პედაგოგები, რომ სსსმ მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები იქნეს გათვალისწინებული. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება

ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

კათედრის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ თითოეულ საფეხურზე დაგეგმილია ისეთი პროცესი, სადაც სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე გამოიკვეთა მზაობა განმსაზღვრელი შეფასების ეფექტური წარმოების შესახებ. კერძოდ, უცხო ენის კათედრის წევრებს შეუძლიათ, რომ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ შეფასება და სწავლის პროცესი როგორც ერთი მთლიანი პროცესი და შეუძლიათ შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.
ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საბოლოოდ, იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდივიდუალური გეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლბელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

ინდიკატორი 2.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილ კურიკულუმებში პროცესი მიმართულია ისე რომ ახალი ცოდნის აგება (კონსტრუირება) ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა. ამას მიუთითებს კომპლექსური დავალების აქტივობები, რომლებიც იგეგმება მხოლოდ წინარე ცოდნისა ან გამოცდილების გათვალისწინებით. მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები

და რესურსები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში.

ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიების საშუალებით და აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.

ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1-სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის

ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. გასაუბრების კი გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“).

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

